მრგვალი მაგიდა ადვოკატებთან

პირველ დეკემბერს საქართველოს ახალგაზარდა იურისტთა ასოციაციაში გაიმართა ადვოკატებთან შეხვედრა, თემაზე კანონმდებლობა სასამართლოში წესრიგის დაცვასთან დაკავშირებით.

ადვოკატებმა განიხილეს იურიდიულ საკითხთა კომიტეტის მიერ შემუშავებული საკანონმდებლო პაკეტი და გამოთქვეს თავიანთი კრიტიკული მოსაზრებები სხვადასხვა საკითხებზე.

კანონპროექტიდან განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 208-ე მუხლის იმ ნაწილს, რომლითაც იზღუდება სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლება და პასუხისმგებლობა დგება მოსამართლის საჯარო

კრიტიკისათვის პროცესის დასრულების შემდგომ.

ამასთან, მნიშვნელოვან პრობლემებად დაისვა: პირის დაპატიმრება ზეპირი მოსმენისა და დაცვის უფლების გარეშე, სიტყვა [redacted] A ფართო ინტერპრეტირება, მოსამართლის მიკერძოებულობისა და მათ მიერ მიღებული განკარგულების გაუსაჩივრებლობის საკითხები.